

# შესწავლილია, თუ არა „ბათუმი რივიერას“ რისკები?

[radiotavisupleba.ge/a/შესწავლილია-თუ-არა-ბათუმი-რივიერას-რისკები/30097888.html](http://radiotavisupleba.ge/a/შესწავლილია-თუ-არა-ბათუმი-რივიერას-რისკები/30097888.html)



ბათუმელების არცთუ მცირე ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქის მერმა, ლაშა კომახიძემ თქვა, რომ პროექტ „ბათუმი რივიერას“ განხორციელების შემაფერხებელ ფაქტორს ვერ ხედავს. ამ პროექტით, ხუთი ცათამბჯენი უნდა აშენდეს. შპს „რივიერა ბათუმმა“ მერიაში წარადგინა ზღვის სანაპიროსთან მდებარე 9 ჰექტარი ტერიტორიის განაშენიანების გეგმა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიჩნია, რომ პროექტს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არ სჭირდება. ბათუმის მერიაში ამბობენ, რომ სამშენებლო პროექტის წარმოდგენის ეტაპზე გაირკვევა, მიეკუთვნება თუ არა იგი მეხუთე კატეგორიის ობიექტს. ამ შემთხვევაში, სამშენებლო ნებართვის გაცემის საკითხი საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ უნდა გადაწყვიტოს.

## რას მოიცავს პროექტი „ბათუმი რივიერა“?

ბათუმის კონცხად წოდებულ ზღვისპირა პირველ ზოლში 5 ცათამბჯენის მშენებლობას კომპანია „სილქ როუდ ჯგუფის“ შვილობილი შპს „რივიერა ბათუმი“ გეგმავს. ყველაზე მაღალი 56 სართულიანი უნდა იყოს. ხუთიდან ორი შენობა სასტუმრო იქნება, სამში კი საცხოვრებელი ბინები განთავსდება. პროექტის მიხედვით, დაგეგმილია იახტ-კლუბის მონყობა და ხმელეთზე ხელოვნური ლაგუნის გაჭრა, რომელიც არხით ზღვას დაუკავშირდება. პროექტს მილიონი ლარით აფინანსებს ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით დაფუძნებული „თანაინვესტირების ფონდი.“



პროექტი "ბათუმი რივიერა"

## რა არგუმენტებით იბრძვიან ბათუმელი აქტივისტები „რივიერას“ წინააღმდეგ?

„ბათუმი რივიერას“ მოწინააღმდეგეებს ორი ძირითადი არგუმენტი აქვთ. ეს ტერიტორია ისტორიული ქალაქის ნაწილია და დაცვის ზონაში შედის - აცხადებენ კულტურული მემკვიდრეობის დამცველები. მეორე არგუმენტი ეკოლოგიური საფრთხეებია. გაეროს დაფინანსებით, სახელმწიფოს მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, „დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული ბათუმის კონცხის ტერიტორიაზე მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა, რომელთა დიდ სიმძიმეს შეიძლება ვერ გაუძლოს კონცხის ნაპირთან ახლოს მდებარე წყალქვეშა კანიონის სათავეებში მენყრების ზეგავლენით დასუსტებულმა სანაპირო ზოლმა.“ ეს არის ამონარიდი „აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიიდან,“ რომელიც გაეროს კლიმატის ცვლილების კონვენციის სამდივნოში საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების ნაწილია.



პროექტის მონაწილეებთან საპროტესტო აქცია

## რატომ არ ენდობა ბათუმის მერი გაეროს მიერ დაფინანსებულ კვლევას?

ბათუმის მერს, ლაშა კომახიძეს მიაჩნია, რომ გაეროს დაფინანსებით ჩატარებული კვლევა არ ეყრდნობა სერიოზულ მეცნიერულ ნაშრომებს და სხვადასხვა წლის თეორიული მასალების ანალიზს. მერს საპირიზონოდ მოჰყავს „ბათუმი რივიერას“ დაკვეთით ჩატარებული კვლევა, რომელიც ამ კომპანიის დირექტორის, გიორგი კაპანაძის თქმით, 100 ათასი დოლარი დაჯდა. **„ჩვენ ჩავატარეთ კიდევ უფრო მასშტაბური კვლევა, ვიდრე ამას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ითვალისწინებს. შევისწავლეთ, თუ რა რისკებს მოიცავს. ყველა დასკვნა ამტკიცებს იმას, რომ ეს მშენებლობა არანაირ რისკებთან არ არის დაკავშირებული. ძალიან კვალიფიციურმა სპეციალისტებმა შეისწავლეს ეს საკითხი და უარყოფითი დასკვნა არ იყო, პირიქით. იტალიური კომპანია Colleselli-ის მიერ არის გაკეთებული ეს კვლევა, რომელიც მონაწილეობს უზარმაზარ პროექტებში, ისეთში, როგორც არის ვენეციის პორტის რეაბილიტაცია“** - ამბობს გიორგი კაპანაძე.

ეს კვლევა ბათუმის მერმა, ლაშა კომახიძემ ელექტრონული ფოსტით მიიღო. ამბობს, რომ დოკუმენტი დამაჯერებელია: **„დოკუმენტში მითითებულია, რომ ქანების დათვალიერება მყვინთავების მეშვეობით მოხდა. ასევე, მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორია შესწავლილი იქნა ჭაბურღილების გამოყენებით და ამ გზით აღებული მონაცემებით. ფაქტია, რომ კომპანიის სპეციალისტები იმყოფებოდნენ ადგილზე და შეისწავლეს.“**



## ლაშა კომახიძე

Colleselli-ის ინგლისურენოვან დასკვნაში მყვინთავები, ან კონკრეტულად იტალიელი სპეციალისტები მოხსენიებულნი არ არიან. ეს დასკვნა ბათუმის მერიამ მოგვანოდა. მას თან ახლავს „რივიერა ბათუმის“ დირექტორის, გიორგი კაპანაძის წერილი, რომელშიც მერს, ლაშა კომახიძეს ატყობინებს, რომ მის მიერ დამატებით ჰიდროლოგიური კვლევის მოთხოვნის გამო, დასკვნისთვის მიმართეს მრავალწლიანი გამოცდილების მქონე იტალიურ საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანიას „Colleselli&Partners Ingegneria Geotecnica“-ს.

*როგორც გიორგი კაპანაძე წერს: „მათ მყვინთავების გამოყენებით, საპროექტო ტერიტორიის გარშემო ჩაატარეს ბათიმეტრიული სამუშაოები, გამოიკვლიეს არსებული ნიადაგის სტრუქტურა, გარშემო არსებული სანაპირო ზოლი და მოგვანოდეს კომპეტენტური დასკვნა. კონსულტანტმა შეისწავლა ნიადაგი, რომელზეც უნდა განთავსდეს დაგეგმილი პროექტი და მისი მახასიათებლის მიხედვით დადგინდა, რომ ნიადაგის პირობების გათვალისწინებით კომპანიის მიერ დაპროექტებული საძირკვლის სისტემა შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.“*

Colleselli-ს ინგლისურენოვან დასკვნაში საუბარია ნიადაგის მდგომარეობაზე, სეისმურ რისკებსა და გეოლოგიურ-გეომორფოლოგიურ ვითარებზე. ნიადაგის შეფასებისას იტალიური კომპანია ეყრდნობა ქართული კომპანიის Tuski Geology-ს მიერ 2018 წელს ჩატარებულ კვლევას, რომლის თანახმად, საფუძვლის სისტემა შესაბამისად არის მიჩნეული.

